

ახალი ამბები

ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა



თბილისი.05.05.08.მედიანიუსი. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ სხდომაზე პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შედეგები შეაჯამა. საბოლოო მონაცემებით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 465 736 შეადგენდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 850 407 ამომრჩეველმა. ბათილად იქნა მიჩნეული 56 77 ბიულეტენი.

საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა ასე გადანაწილდა: №1 – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“ – 8 231 ხმა, ანუ 0,46 პროცენტი, №2 – საქართველოს რესპუბლიკური პარტია – 67 37 ხმა, ანუ 3,78 პროცენტი, №3 საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენე ალიანსი“, თოფაძე მრეწველები – 16 440 ხმა, ანუ – 0,93 პროცენტი, №4 – „შაღვა ნათელაშვილი - „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 132 92 ხმა, ანუ – 7,44 პროცენტი, №5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ – 1 050 237 ხმა, ანუ 59,18 პროცენტი, №6 – პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“ – 3 308 ხმა, ანუ 0,19 პროცენტი, №7 – საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო), მემარჯვენეები – 314 ათას 668 ხმა, ანუ 17,73 პროცენტი, №8 სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული პარტია“ – 3 180 ხმა, ანუ 0,18 პროცენტი, №9 – პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“ – 15 839 ხმა, ანუ – 0,89 პროცენტი, №10 – „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ – 153 634 ხმა, ანუ 8, 66 პროცენტი, №11 – საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები – „ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ – 7 880 ხმა, ანუ 0,44 პროცენტი, №12 – საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ – 2 101 ხმა, ანუ – 0,12 პროცენტი.

პარლამენტში პარტიული სიით მანდატები მოიპოვეს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ (48 მანდატი), „გაერთიანებულ ოპოზიციამ“ (15 მანდატი), ლეიბორისტულმა პარტიამ და „გიორგი თარგამაძემ - „ქრისტიან დემოკრატებმა“ (6-6 მანდატი).

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი